ქეთევან გურჩიანი

ბიზნეს ადმინისტრირების ქართულენოვანი
საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
ლაიფციგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია

ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება ერთ-ერთი ყველაზე ღირებული შესაძლებლობაა. ცხოვრების ეს პერიოდი არა მხოლოდ ეხმარება ადამიანს, თავისი შესაძლებლობები და სფერო უფრო ფართო ჭრილში დაინახოს, არამედ ხელს უწყობს მას, საკუთარი თავი უკეთ შეიმეცნოს. სწორედ ამიტომ, Erasmus+-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ჩემს მიზნად დავისახე და ამ მიზანს წარმატებით მივაღწიე. ნამდვილად რთულია, რამდენიმე აბზაცში გადმოვცე ყველაფერი ის, რაც ამ გამოცდილებამ მომცა, თუმცა ვეცდები.

თავდაპირველად, ლაიფციგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის მრავალფეროვანი გარემო და სწავლების ახალი სტილი ჩემთვის ძალიან უცხო იყო, თუმცა ადაპტაცია მარტივად და დროულად შევძელი. უნივერსიტეტის პროფესიონალ ლექტორებთან ურთიერთობამ, ახალმა პრაქტიკულმა მიდგომებმა ჩემს სფეროში უფრო ძლიერი და კომპეტენტური გამხადა. მას შემდეგ, რაც სწავლის პროცესში ახალ დაბრკოლებებს შევხვდი და დამოუკიდებლად გადავლახე, საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში ბევრად დარწმუნებული გავხდი. ვფიქრობ, რომ ლაიფციგის უნივერსიტეტი ჩემს მიზნებსა და სურვილებთან ზუსტ თანხვედრაში მოდიოდა და მომცა სწორედ ის ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, რომელსაც მოველოდი.

გერმანიაში ცხოვრება სრულიად განსხვავებული წესებითა და ყოველდღიური ცხოვრების სტილით თავიდან ასევე დიდი გამოწვევა არის. ყოველდღიური საკითხების დამოუკიდებლად მოგვარება ჩემი პასუხისმგებლობა იყო. დღეს კი შემიძლია ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვთქვა, რომ ამ გამოცდილებამ ნამდვილად დამოუკიდებელ ადამიანად ჩამომაყალიბა.

მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამა დაუვიწყარი გამოცდილება იქნებოდა, მან მაინც გადააჭარბა მოლოდინებს. ამ პერიოდისას ვიმოგზაურე, გავეცანი გერმანულ კულტურას, ვცადე ბევრი ახალი აქტივობა, შევხვდი ბევრ ადამიანს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, შევიძინე ახალი მეგობრები, რომლებიც ჩემი Erasmus+-ის გამოცდილების ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ნაწილი გახდნენ. ჩემი ყოველი დღე განსხვავებული, უნიკალური და საინტერესო იყო, ახალი თავგადასავლებით, აღმოჩენებითა და დაუვიწყარი მომენტებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ყველაფერი შევძელი ჩემი პროფესიული განვითარების პარალელურად. ვფიქრობ, Erasmus+-ის პროგრამაში მონაწილეობა არის ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება და უნიკალური პერიოდი ჩემს ცხოვრებაში.